სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)

დადგენილება № 01-06-02/24

ქ. თბილისი 19 მაისი 2022

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სტრუქტურული რეორგანიზაციის, ადმინისტრაციის სტრუქტურისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის და მე-11 მუხლის შესაბამისად, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, ბატონი კარლო კოპალიანის 2022 წლის 19 მაისის №010334/1 წერილისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2022 წლის 19 მაისის №01-05-02/03 ოქმის საფუძველზე, **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:**

1. სტუ-ის ადმინისტრაციისა და ფაკულტეტების საშტატო განრიგში განხორციელდეს შემდეგი ცვლილებები:

1.1. საერთაშორისო აკრედიტაციის კომიტეტი იწოდებოდეს - საერთაშორისო აკრედიტაციის ცენტრად, არსებული - 3,0 საშტატო ერთეულითა და სახელფასო ფონდით - 4 600 ლარი;

1.2. კანცლერის აპარატში: მდივან-რეფერენტის - 1,0 ერთეულის ხელფასი განისაზღვროს - 1 100 ლარით, ნაცვლად - 900 ლარისა და თანაშემწის - 1,0 ერთეულის ხელფასი განისაზღვროს - 1 100 ლარით, ნაცვლად - 900 ლარისა. სულ სახელფასო ფონდი - 6 000 ლარი;

1.3. საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტს გამოეყოს გრანტების მომსახურების ოფისი და ტექნოლოგიებისა და ინოვაციების ჰაბის საფუძველზე ჩამოყალიბდეს შემდეგი დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეულები:

- საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი განისაზღვროს არსებული - 7,0 საშტატო ერთეულითა და სახელფასო ფონდით - 9 700 ლარი;
- ტექნოლოგიებისა და საგრანტო პროექტების ოფისი განისაზღვროს - 7,0 საშტატო ერთეულითა და სახელფასო ფონდით - 9 750 ლარი. კერძოდ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 19 მარტის N258588 ბრძანების, „ვისწავლოთ საქართველოში" პროგრამის დამტკიცების შესახებ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილის 2021 წლის 27 ივლისის N746821 ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი განათლებისა და კვლევის ინტეგრაციისა და ინტერნაციონალიზაციის მხარდაჭერა" ქვეპროგრამის ფარგლებში დაემატოს „ჰორიზონტი ევროპა" - პროგრამის კოორდინატორის - 1,0 ერთეული ხელფასით - 1 250 ლარი; ასევე, ოფისის უფროსის - 1,0 ერთეული ხელფასი განისაზღვროს - 2 500 ლარით; ნაცვლად - 1 800 ლარისა; დაემატოს: უფროსის მოადგილის - 1,0 ერთეული ხელფასით - 2 000 ლარი; I კატეგორიის უფროსი სპეციალისტის - 1,0 ერთეული ხელფასით - 1 300 ლარი და II კატეგორიის უფროსი სპეციალისტის - 3,0 ერთეული თითოეულის ხელფასით - 900 ლარი (სულ - 2 700 ლარი);
- ოფისში შემავალი ფაბ-ლაბი განისაზღვროს - 4,0 საშტატო ერთეულითა და სახელფასო ფონდით - 3 700 ლარი. კერძოდ: უფროსის - 1,0 ერთეული ხელფასით - 1 600 ლარი; II კატეგორიის უფროსი სპეციალისტის - 1,0 ერთეული ხელფასით - 900 ლარი; II კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის - 2,0 ერთეული თითოეულის ხელფასით - 600 ლარი (სულ - 1 200 ლარი).

აქედან გამომდინარე, ტექნოლოგიებისა და საგრანტო პროექტების ოფისი განისაზღვროს - 11,0 საშტატო ერთეულითა და სახელფასო ფონდით - 13 450 ლარი;

1.4. სტრატეგიული განვითარებისა და კომუნიკაციების დეპარტამენტს გამოეყოს კომუნიკაციების განყოფილება და იწოდებოდეს სტრატეგიული განვითარებისა და მარკეტინგის დეპარტამენტად და განისაზღვროს - 6,0 საშტატო ერთეულითა და სახელფასო ფონდით - 9 300 ლარი, ნაცვლად - 3,0 ერთეულისა და სახელფასო ფონდისა - 6 300 ლარი. კერძოდ: უფროსის - 1,0 ერთეული ხელფასით - 2

500 ლარი; მოადგილის - 1,0 ერთეული ხელფასით - 2 000 ლარი; I კატეგორიის უფროსი სპეციალისტის - 3,0 ერთეული თითოეულის ხელფასით - 1 300 ლარი (სულ - 3 900 ლარი) და II კატეგორიის უფროსი სპეციალისტის - 1,0 ერთეული ხელფასით - 900 ლარი. ასევე, დაქვემდებარებული სტრატეგიული განვითარების განყოფილება განისაზღვროს არსებული - 5,0 საშტატო ერთეულითა და სახელფასო ფონდით - 6 600 ლარი.

აქედან გამომდინარე, სტრატეგიული განვითარებისა და მარკეტინგის დეპარტამენტი განისაზღვროს - 11,0 საშტატო ერთეულითა და სახელფასო ფონდით - 15 900 ლარი, ნაცვლად - 14,0 ერთეულისა და სახელფასო ფონდისა - 20 400 ლარი;

1.5. საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი"-ის სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს სწავლული მდივნის - 1,0 ერთეული ხელფასი განისაზღვროს - 1 500 ლარით; ნაცვლად - 1 000 ლარისა. სულ სახელფასო ფონდი - 10 800 ლარი;

1.6. უწყვეტი განათლებისა და კარიერული განვითარების დეპარტამენტი ჩამოყალიბდეს შემდეგ დამოუკიდებელ სტრუქტურულ ერთეულებად:

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ცენტრი განისაზღვროს - 6,0 საშტატო ერთეულითა და სახელფასო ფონდით - 9 500 ლარი. კერძოდ: უფროსის - 1,0 ერთეული ხელფასით - 2 500 ლარი; მოადგილის - 1,0 ერთეული ხელფასით - 2 000 ლარი; მენეჯერის - 1,0 ერთეული ხელფასით - 2 000 ლარი; I კატეგორიის უფროსი სპეციალისტის - 1,0 ერთეული ხელფასით - 1 300 ლარი; II კატეგორიის უფროსი სპეციალისტის - 1,0 ერთეული ხელფასით - 900 ლარი და III კატეგორიის უფროსი სპეციალისტის - 1,0 ერთეული ხელფასით - 800 ლარი;
- აკადემიური და მასწავლებელთა პერსონალის განვითარების ცენტრი განისაზღვროს - 7,0 საშტატო ერთეულითა და სახელფასო ფონდით - 7 500 ლარი. კერძოდ: უფროსის - 1,0 ერთეული ხელფასით - 1 800 ლარი; მოადგილის - 1,0 ერთეული ხელფასით - 1 400 ლარი; I კატეგორიის უფროსი სპეციალისტის - 3,0 ერთეული თითოეულის ხელფასით - 900 ლარი (სულ - 2 700 ლარი) და III კატეგორიის უფროსი სპეციალისტის - 2,0 ერთეული თითოეულის ხელფასით - 800 ლარი (სულ - 1 600 ლარი);
- კარიერული განვითარების განყოფილება განისაზღვროს - 2,0 საშტატო ერთეულითა და სახელფასო ფონდით - 2 600 ლარი. კერძოდ: უფროსის - 1,0 ერთეული ხელფასით - 1 800 ლარი და III კატეგორიის უფროსი სპეციალისტის - 1,0 ერთეული ხელფასით - 800 ლარი.

განყოფილება დაექვემდებაროს სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტს და განისაზღვროს - 30,0 საშტატო ერთეულითა და სახელფასო

ფონდით - 37 200 ლარი, ნაცვლად - 28,0 საშტატო ერთეულისა და სახელფასო ფონდით - 34 600 ლარი;

1.7. სტუდენტური სერვისების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტი ჩამოყალიბდეს შემდეგ დამოუკიდებელ სტრუქტურულ ერთეულებად:

- დეპარატმენტს გამოეყოს სტუდენტური სერვისების მართვის განყოფილება და იწოდებოდეს სტუდენტური სერვისების ცენტრად და განისაზღვროს - 7,0 საშტატო ერთეულითა და სახელფასო ფონდით - 8 400 ლარი, ნაცვლად სახელფასო ფონდისა - 6 400 ლარი. კერძოდ: უფროსის - 1,0 ერთეული ხელფასი განისაზღვროს - 2 500 ლარით, ნაცვლად - 1 800 ლარისა; II კატეგორიის უფროსი სპეციალისტის - 2,0 ერთეული თითოეულის ხელფასით - 900 ლარი (სულ - 1 800 ლარი); I კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის - 3,0 ერთეული თითოეულის ხელფასით - 700 ლარი (სულ - 2 100 ლარი) და დაემატოს მოადგილის - 1,0 ერთეული ხელფასით - 2 000 ლარი;
- დეპარატმენტში გაუქმდეს: სპორტის განყოფილება - 5,0 საშტატო ერთეულითა და სახელფასო ფონდით - 5 000 ლარი; კულტურის განყოფილება - 6,0 საშტატო ერთეულითა და სახელფასო ფონდით - 5 700 ლარი; საუნივერსიტეტო ტელევიზია - 7,0 საშტატო ერთეულითა და სახელფასო ფონდით - 6 400 ლარი;
- დეპარტამენტს დაემატოს კომუნიკაციების განყოფილება და იწოდებოდეს საზოგადოებასთან ურთიერთობის, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტად და განისაზღვროს - 11,0 საშტატო ერთეულითა და სახელფასო ფონდით - 12 600 ლარი. კერძოდ, უფროსის - 1,0 ერთეული ხელფასით - 2 500 ლარი; მოადგილის - 1,0 ერთეული ხელფასით - 2 000 ლარი; I კატეგორიის უფროსი სპეციალისტის - 2,0 ერთეული თითოეულის ხელფასით - 1 300 ლარი (სულ - 2 600 ლარი); II კატეგორიის უფროსი სპეციალისტის - 3,0 ერთეული თითოეულის ხელფასით - 900 ლარი (სულ - 2 700 ლარი); I კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის - 4,0 ერთეული თითოეულის ხელფასით - 700 ლარი (სულ - 2 800 ლარი);
- დეპარტამენტში შეიქმნას საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება და განისაზღვროს - 8,0 საშტატო ერთეულითა და სახელფასო ფონდით - 9 900 ლარი. კერძოდ, უფროსის - 1,0 ერთეული ხელფასით - 1 800 ლარი; შიდა კომუნიკაციებიოს მენეჯერის - 1,0 ერთეული ხელფასით - 1 800 ლარი; სტუ-ის ტელევიზიის მენეჯერის - 1,0 ერთეული ხელფასით - 1 800 ლარი; I კატეგორიის უფროსი სპეციალისტის - 1,0 ერთეული ხელფასით - 1 300 ლარი; II კატეგორიის უფროსი სპეციალისტის - 2,0 ერთეული თითოეულის ხელფასით - 900 ლარი (სულ - 1 800 ლარი); I კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის - 2,0 ერთეული თითოეულის ხელფასით - 700 ლარი (სულ - 1 400 ლარი).

აქედან გამომდინარე, საზოგადოებასთან ურთიერთობის, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტი განისაზღვროს - 19,0 ერთეულით, ნაცვლად 28,0 ერთეულისა და სახელფასო ფონდით - 22 500 ლარი, ნაცვლად სახელფასო ფონდისა - 30 000 ლარი.

აღნიშნული ცვლილებებიდან გამომდინარე, სტუ-ის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის საშტატო განრიგი განისაზღვროს - 320,0 ერთეულით, ნაცვლად - 325,0 ერთეულისა და შესაბამისად, სახელფასო ფონდით თვეში - 426 550 ლარი, ნაცვლად სახელფასო ფონდისა თვეში - 427 100 ლარი.

1.8. შეიქმნას მედიცინის ფაკულტეტი და განისაზღვროს აკადემიური და დამხმარე პერსონალის საშტატო განრიგი. კერძოდ, ინგლისურენოვანი პროფესორის - 8,0 ერთეული; ინგლისურენოვანი ასოცირებული პროფესორის - 18,0 ერთეული; ინგლისურენოვანი ასისტენტი პროფესორის - 9,0 ერთეული; სულ აკადემიური პერსონალი - 35,0 ერთეულითა და სახელფასო ფონდით თვეში - 95 940 ლარი.

ასევე, ფაკულტეტის ხელმძღვანელის - 1,0 ერთეული ხელფასით - 5 300 ლარი; მოადგილის - 1,0 ერთეული ხელფასით - 2 500 ლარი; თანაშემწეს მეცნიერებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დარგში - 1,0 ერთეული ხელფასით - 1 500 ლარი; ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის - 1,0 ერთეული ხელფასით - 3 415 ლარი; მენეჯერის - 1,0 ერთეული ხელფასით - 2 500 ლარი; სულ დამხმარე პერსონალი - 5,0 ერთეულითა და სახელფასო ფონდით თვეში - 15 215 ლარი.

ზემოთ აღნიშნული ცვლილებებიდან გამომდინარე, სტუ-ის საშტატო განრიგი განისაზღვროს - 2 201,5 ერთეულით, ნაცვლად - 2 166,5 ერთეულისა და შესაბამისად, სახელფასო ფონდით თვეში - 2 698 343 ლარი, ნაცვლად სახელფასო ფონდისა თვეში - 2 587 738 ლარი.

2. დამტკიცდეს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სტრუქტურა და საშტატო ნუსხა დადგენილების პირველი პუნქტით განსაზღვრული ცვლილებების გათვალისწინებით;
3. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა უზრუნველყოს რეორგანიზაციასთან დაკავშირებით კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება;
4. დადგენილების პირველი და მეორე პუნქტები ამოქმედდეს 2022 წლის 01 ივნისიდან;
5. დაევალოს სტუ-ის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტს და შესაბამის სამსახურებს წარმოადგინონ დადგენილი წესით ახლად შექმნილი და რეორგანიზებული სტრუქტურული ერთეულების დებულებები;

6. დადგენილება გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე და მისი გაცნობა სტრუქტურული ერთეულებისათვის უზრუნველყოს სტუ-ის საქმის წარმოების დეპარტამენტმა;
7. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, #6).

წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის)

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე